ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1930466

ნომერი: AR1310219

თარიღი : 27.05.2015

გაცემის თარიღი : 22.06.2015

გაცნობის თარიღი : 23.09.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი შესახვევი აკ.ბელიაშვილის 1;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლელა დგებუაძე პ/ნ 01011078856
- თბილისი ბ.ხმელნიცკის 2 #6

ორგანიზაცია:
- შპს ,,რეალ რეგისტრი" კოდი: 404395828

ნომენკლატურა :

- აშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : ავტოსერვისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მისი ოფიციალური საიტის www.tas.ge მეშვეობით ელექტრონულად წარმოდგენილი #AR1310219 განცხადებით მომართეს მოქალაქეებმა: ლელა დგებუაძემ და დავით მხეიძემ და მოითხოვეს სამსახურის მიერ 2013 წლის 6 აპრილს გამოცემულ #623744 ბრძანებით ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩის #1–ში შ.პ.ს ,,აისი-ს

მიმდებარე ტერითორიაზე #01.13.01.004.065 მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აშენებული საკადასტრო გეგმის მიხედვით 4/1 დან 23/1–ის ჩათვლით შენობა–ნაგებობების მოპირკეთებისათვის განსაზღვრული 8 (რვა) თვიანი ვადის გაგრძელება 4 (ოთხი) თვით.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე–4 მუხლის 1–ლი პუნქტის და მე–2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შესაბამისი ორგანო უფლებამოსილია მოახდინოს ობიექტის ადგილზე დათვალიერება მისი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით“ და „ობიექტზე ან მის ნაწილზე მოსაპირკეთებელი ან/და ტერიტორიის კეთილმოწყობითი სამუშაოების შესრულება“ ანუ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს არქიტექტურის სამსახური, მინიჭებული აქვს უფლებამოსილება და ხელეწიფება, რომ ობიექტის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა ობიექტის მოპირკეთებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან და აგრეთვე გამომდინარე იქედან, რომ ზემოხსენებული ბრძანებულებით დამტკიცებული წესით აკრძალული არაა მოპირკეთისათვის განსაზღვრული გარკვეული ვადის 1 (ერთი) წლამდე გაგრძელება, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ #623744 ბრძანებით მოპირკეთებისათვის განსაზღვრული 8 (რვა) თვიანი ვადა გაგრძელებული იქნეს 4 (ოთხი) თვით.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს #AR1310219 განცხადება.
2. სამსახურის 2013 წლის 6 აპრილის #623744 ბრძანებით ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩის #1–ში შ.პ.ს ,,აისი-ს მიმდებარე ტერითორიაზე #01.13.01.004.065 მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აშენებული საკადასტრო გეგმის მიხედვით 4/1 დან 23/1–ის ჩათვლით შენობა–ნაგებობების მოპირკეთებისათვის განსაზღვრული 8 (რვა) თვიანი ვადა გაგრძელებული იქნეს 4 (ოთხი) თვით.
3. ობიექტების მოპირკეთების შემდგომ უფლებამოსილმა პირმა მომართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ობიექტების ლეგალიზებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს სამსახურის 2013 წლის 6 აპრილის #623744 ბრძანებასთან ერთად.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.